ენათმეცნიერება Linguistic

კრებითი სახელები ქართულ ჟესტურ ენაში

თამარ მახარობლიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
e-mail: tamar.makharoblidze@i;iauni.edu.get
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.05
SJIF 2026: 8.679

კრებითი სახელები ჟესტურ ენებში იგივე მორფო-სემანტიკის ფორმებია, რაც სამეტყველო ენებში. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია გამოირჩევა შერეული სახის ფორმებით. კერძოდ, აქ გვაქვს როგორც წმინდა ჟესტური ენებისთვის დამახასიათებელი სინქრონული მორფოლოგიის ამსახველი ფორმები, ასევე სეგმენტური მორფოლოგიისთვის დამახასიათებელი მორფემების მაგალითები. რაც შეეხება ამ ენაში სიმრავლის ასახვას, უნდა ითქვას, რომ ენა გამოიყენებს მრავალფეროვან საშუალებებს. ადამიანთა კლასისთვის გვაქვს მრავლობითობის ნიშანი, კერძოდ ეს არის ადამიანის აღმნიშვნელი ჟესტი, რომელიც დელექსიკალიზებულია როგორც მრავლობითობის ნიშანი. ეს ჟესტი დაერთვის ძირითად ლექსიკურ ჟესტს. მრავლობითობის გადმოსაცემად ხშირად მოსალოდნელია ამ ჟესტის ორჯერ ან რამდენჯერმე გამეორება.

ქართულ ჟესტურ ენაში კრებითი სახელები ძირითადად იწარმოება ორი ფორმით ან სიმრავლის აღმნიშვნელი მორფემული ნიშნით, ორხელიანი სიმეტრიული დინამიკური ჟესტით ან კომპოზიტურად — ასეთ შემთხვევაში ძირითად ლექსიკურ ჟესტს ემატება სიტყვა-ჟესტი ჯგუფი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს ორი ფორმა ხშირად ენაცვლება ერთმანეთს, თუმცა ორივე ერთად არ გვხვდება. გამოსაკლევია ადგილობრივ ყრუთა თემში მათი გამოყენების სიხშირე და გამოყენების დამატებითი სპეციფიკა (თუკი ასეთი რამ არსებობს).

საკვანძო სიტყვები: კრებითი სახელები, ჟესტური ენა, მორფო-სემანტიკის ფორმები


კრებითი სახელები ჟესტურ ენებში იგივე მორფო-სემანტიკის ფორმებია, რაც სამეტყველო ენებში. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია გამოირჩევა შერეული სახის ფორმებით. კერძოდ, აქ გვაქვს როგორც წმინდა ჟესტური ენებისთვის დამახასიათებელი სინქრონული მორფოლოგიის ამსახველი ფორმები, ასევე სეგმენტური მორფოლოგიისთვის დამახასიათებელი მორფემების მაგალითები. რაც შეეხება ამ ენაში სიმრავლის ასახვას, უნდა

ითქვას, რომ ენა გამოიყენებს მრავალფეროვან საშუალებებს. ადამიანთა კლასისთვის გვაქვს მრავლობითობის ნიშანი, კერძოდ ეს არის ადამიანის აღმნიშვნელი ჟესტი:



ადამიანი — მოაზროვნე ცოცხალი არსება

ერთხელიანი, დინამიკური, ჟესტი, ხელისგული მიმართულია პირდაპირ და ქვევით, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი და ცერი თითები გამოსახავენ ღია წრეს, ხელი ქვევით ეშვება. ჟესტი სრულდება მკერდისა და მხრების დონეზე. აღნიშნული ჟესტი დელექსიკალიზებულია როგორც მრავლობითობის ნიშანი და ეს ჟესტი დაერთვის ძირითად ლექსიკურ ჟესტს. მრავლობითობის გადმოსაცემად ხშირად მოსალოდნელია ამ ჟესტის ორჯერ ან რამდენჯერმე გამეორება. საგულისხმოა, რომ ქართულ ჟესტურ ენაში ცალკე ფორმითაა წარმოდგენილი ლექსიკური მნიშვნელობა *ხალხი*:



ხალხი — ადამიანთა სიმრავლე, მრავალი ადამიანი ერთად, ადამიანები

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელი ეხება შუბლს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე. ეს ზემოთ მოცემული ფორმა (სიტყვა-ჟესტი *ხალხი*) გახლავთ მაგალითი სინქრონული მორფოლოგიისა, სადაც დამატებითი მორფემის გარეშე, ახალი ლექსიკური ჟესტით გადმოცემულია სიმრავლე.




ამ ფოტოებით წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი *ხალხები*. აქ სიტყვა-ჟესტ *ხალხის* აღმნიშვნელ პირველ ფოტოს ემატება ზოგადი მრავლობითობის ნიშანი, რომელიც მოცემულია ბოლო ფოტოზე. ხოლო მეორე და მესამე ფოტოებზე მოცემულია კუთვნილების ჟესტი, რომელიც ვერ ჩაითვლება გრამატიკულად მიზანშეწონილად, რადგანაც ეს უკანასკნელი გადმოგვცემს სიმრავლის ნიშნის კუთვნილებას *ხალხის* მიმართ. ცხადია, რომ კუთვნლების ნიშანი ზედმეტი მორფემაა მოცემულ ვითარებაში. ამ ტიპის ცთომილებები საკმაოდ ხშირია ქართულ ჟესტურ ენაში, რადგანაც ამ ენაში ჯერ არ გვაქვს სტანდარტიზაცია. აღსანიშნავია, რომ ეს ჟესტური ფორმა (*ხალხები*) პარალელურად გვხვდება მოლოდ პირველი და უკანასკნელი ფოტოების სახითაც, რაც უფრო სწორი ვერსიაა ამ კონკრეტული ჟესტისთვის.

ქართულ ჟესტურ ენაში უსულო საგანთა სიმრავლეს გამოხატავს სიტყვა-ჟესტი *ჯგუფი*:



ჯგუფი — რამდენიმე ერთმანეთთან ახლოს მყოფი ვინმე (ან რამე), გუნდი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებითა და ზევით აწეული ცერებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ერთმანეთისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე. საინტერესოა, რომ ცხოველთა კრებული ხშირად წარმოდგენილია სიმრავლის იმავე ელემენტით, რომელიც გვაქვს ფორმაში *ხალხი* (მაგ. სიტყვა-ჟესტი *ფარა*). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ ასევე პარალელურად გვხვდება ჟესტი *ჯგუფიც*.



ფარა — ცხვრის ჯოგი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი ‘ცხვარი’ — ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და თავისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი ‘სიმრავლე (ცხვრის)’ / ‘კრებითობა’ — ხელისგულები ქვევითაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა და ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

ზემოთ მოცემული ჟესტის (*ფარა*) მეორე ნაწილი არის ამ ენაში ზოგადად სიმრავლის გამომხატველი ერთ-ერთი ჟესტი. ეს იგივე ჟეტია, რომელიც გვხვდება ფორმაში *ხალხები*. უნდა ითქვას, რომ ენაში შეინიშნება გარკვეული ლექსიკური სიმწირე. საერთო ჟესტია ისეთი ლექსიკური ერთეულებისათვის, როგორებიცა ‘გუნდი’, ‘დასი’, ‘ბანდა’ და ‘ჯგუფი’.

ამრიგად, ქართულ ჟესტურ ენაში კრებითი სახელები ძირითადად იწარმოება ორი ფორმით:

ა. სიმრავლის აღმნიშვნელი მორფემული ნიშნით, ორხელიანი სიმეტრიული დინამიკური ჟესტით (მაგ., როგორიცაა სიტყვა-ჟესტი *ხალხები* — ბოლო ჟესტი) ;

ბ. ან კომპოზიტურად — ასეთ შემთხვევაში ძირითად ლექსიკურ ჟესტს ემატება სიტყვა-ჟესტი *ჯგუფი*.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს ორი ფორმა ხშირად ენაცვლება ერთმანეთს, თუმცა ორივე ერთად არ გვხვდება. გამოსაკლევია ადგილობრივ ყრუთა თემში მათი გამოყენების სიხშირე და გამოყენების დამატებითი სპეციფიკა (თუკი ასეთი რამ არსებობს).

გამოყენებული ლიტერატურა:

დემეი, კუიჯი 2008: Demey, E. & van der Kooij, E. Phonological patterns in a dependency model: Allophonic relations grounded in phonetic and iconic motivation. Lingua, 118, 1109–1138.

ემორეი 2003 : Emmorey, K. (Ed.). Perspectives on classifier constructions in sign languages. Mahwah: Lawrence Erlbaum Associates.

ემორეი, გრაბოვსკი, მაკქულოუფი, დამასიო, პონტო, ჰიჩვა, ბელუგი 2004 : Emmorey, K., Grabowski, T., McCullough, S., Damasio, H., Ponto, L., Hichwa, R., & Bellugi, U. (2004). Motor-iconicity of sign language does not alter the neural systems underlying tool and action naming. Brain and Language, 89, 27–37.

მახაროblიძე 2015: მახაროblიძე თამარ. ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ

მახაროblიძე 2012: მახაროblიძე თამარ. ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USAID, Save The Children International. თბილისი 610-გვ·

მახაროblიძე 2026: მახაროblიძე თამარ. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი.

მახაროblიძე 2015: მახაროblიძე თამარ. ქართული ჟესტური ენის ლექსიკის შესახებ. იკე, ტ. 43. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2015 გვ.116-144

მეირი 2010 : Meir, I. (2010). Iconicity and metaphor: Constraints on metaphoric extension of iconic forms. Language, 86. 865–986.

პერნისი, ლუ, მორგანი, ვიგლიოკო 2019 : Perniss, P., Lu, J. C., Morgan, G., & Vigliocco, G. (2017). Mapping language to the world: The role of iconicity in the sign language input. Developmental Science, 21(2), e12551.

თაუბი 2001 : Taub, S. (2001). Language from the Body: Iconicity and Metaphor in American Sign Language. Cambridge: Cambridge University Press.

Tamar Makharoblidze
Ilia State University
Tbilisi, Georgia
e-mail: tamar.makharoblidze@i;iauni.edu.get
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.05
SJIF 2026: 8.679

Collective Nouns in Georgian Sign Language (GESL)

(Abstract)

Collective nouns in sign languages are the same morpho-semantic forms as those in spoken languages. The nominal morphology of Georgian Sign Language (GESL) is characterized by mixed forms. Specifically, it features both forms reflecting the synchronic morphology typical of genuine sign languages and examples of morphemes characteristic of segmental morphology of spoken languages. Regarding the expression of plurality in GESL, it employs a variety of means. For the human class, there is a plurality marker — specifically, a sign denoting "*person*" that has undergone delexicalization to function as a marker of plurality. This sign is added to the base lexical sign. To convey plurality, it is often appropriate to repeat this sign twice or several times.

In GESL, collective nouns are primarily formed in one of two ways: using a morphemic plurality marker, which is a symmetrical two-handed dynamic sign, or through a compound construction, and in such a case, the sign for "*group*" is added to the main lexical sign. It is important to note that these two forms often alternate, however, we do not encounter both of them together. The frequency of their usage within the local Deaf community and any additional specific nuances regarding their use (if such exist) requires future scrutiny.

რეცენზენტი: პროფესორი ელენე ბუნიაკოვა